არალეგალური მიგრაცია

საქართველოს და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა

GYLA & CIPDD

2013

ემიგრაცია მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საქართველოსთვის. უკეთესი მომავლის იმედით 1989 წლის შემდეგ მოსახლეობის 20%-ზე მეტმა დატოვა სამშობლო. სამწუხაროდ, მათი უმეტესობა არალეგალურად იმყოფება და მუშაობს სხვადასხვა ქვეყანაში.

ქვეყანაში უკანონოდ შესვლასთან დაკავშირებული საფრთხეების გარდა, არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც არალეგალური მიგრანტების ყოველდღიურ ყოფას და საქმიანობას ახლავს თან.

ამ ბროშურის მიზანია, მოქალაქეების ინფორმირება არარეგულარული/არალეგალური მიგრაციის შესახებ:

- რას ნიშნავს იყო არალეგალური მიგრანტი

- რა საფრთხეებთან არის ეს დაკავშირებული

-რა ცრუ მოლოდინებით ხელმძღვანელობენ ხშირად პოტენციური არალეგალი მიგრანტები

რა არის არალეგალური მიგრაცია?

არალეგალური/არარეგულარული მიგრაცია გულისხმობს კანონებისა და წესების გვერდის ავლით ერთი ქვეყნის დატოვებას და მეორეში შესვლას.

ვინ არის არალეგალური მიგრანტი?

არალეგალური/არარეგულარული მიგრანტი არის პირი, რომელიც არღვევს სავიზო წესებს:

- ქვეყანაში შედის ვიზის (ან სხვა ნებართვის/საბუთების) გარეშე
- რჩება ვიზის ვადის გასვლის შემდეგ
- მუშაობას იწყებს შესაბამისი ნებართვის გარეშე

რა შემთხვევაში მიიჩნევა პირი არალეგალურ მიგრანტად?

როდესაც:

1 ქვეყნის საზღვარს კვეთს საერთაშორისო მიმოსვლისთვის განკუთვნილი სასაზღვრო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით, რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება!

2 ქვეყანაში შედის ყალბი დოკუმენტების გამოყენებით! ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, შეძენა, შენახვა, გასაღების ან გამოყენების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლის სამართლის დანაშაულია!

3 ქვეყანაში რჩება ვიზის ან დროებითი ბინადრობის ნებართვის გარეშე!

4 კარგავს ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის უფლებას - ნებართვის განუახლებლობის გამო!

5 მუშაობს ოფიციალური ნებართვის გარეშე!

ხშირად არასწორად ფიქრობენ

საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა ადვილია. ვიცნობ ადამიანს, ვინც ევროკავშირის ტერიტორიაზე უვიზოდ შემიყვანს

საზღვრის გადაკვეთის უკანონო მეთოდები გარკვეულ საფრთხეებთან არის დაკავშირებული. საზღვარზე უკანონოდ გადამსვლელთა აღმოჩენის დიდი ალბათობის გარდა, ეს საშუალება ფიზიკურ რისკებსაც გულისხმობს. არალეგალი მიგრანტები ხშირად გზაში გადამზიდავ კონტეინერებში, ვაგონებსა და სატვირთოებში იგუდებიან, ცურვისათვის გამოუსადეგარი გემის დაღუპვას ან ხანგრძლივი სიარულის დროს გარემო პირობებს ეწირებიან.

ამასთან, არალეგალი მიგრანტები ხშირად ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდებიან, მათ შორის, “გადამყვანების” მიერ ადგილი აქვს არალეგალი მიგრანტების სექსუალურ ექსპლუატაციას, მონობას, იძულებით შრომას ან ფართო უკანონო საქმიანობაში ჩართვას.

ყოველ წელს რამდენიმე ასეული არალეგალი იმიგრანტი კვდება სხვადასხვა ქვეყნის საზღვარზე.

ხშირად არასწორად ფიქრობენ

ვიზა ავიღე და მივემგზავრები ევროპაში. მაქვს დარჩენის უფლებაც

ქვეყანაში თავდაპირველად კანონიერი შესვლა არ გულისხმობს ლეგალურად დარჩენის უფლებას. იმიგრანტი, რომლის კანონიერად ყოფნის უფლებას ანუ ვიზას ვადა გასდის, არალეგალად ითვლება. ქვეყანაში ლეგალურად დარჩენას და მუშაობის დაწყებას ოფიციალური ნებართვა სჭირდება.

საიმიგრაციო სამსახურები აკონტროლებენ, იმყოფებიან და მუშაობენ თუ არა იმიგრანტები შესაბამის ქვეყანაში კანონის დაცვით.

არალეგალურად ყოფნის ან კანონის დარღვევის შემთხვევაში, იმიგრანტს ატოვებინებენ ევროკავშირის ტერიტორიას.

სავიზო რეჟიმის დამრღვევი პირი მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნებში ლეგალურად შესვლის უფლებას კარგავს. ევროკავშირის ქვეყნებში შესვლის ნებართვის მიღებას ვერც სასწავლო თუ სამუშაო ლეგალური მოწვევა უზრუნველყოფს.

ხშირად არასწორად ფიქრობენ

ჩემი ახლობელი ჩავიდა ევროპაში და ძალიან მალე კარგი სამსახური იშოვა. ოჯახსაც უგზავნის ფულს

ევროკავშირის ქვეყნებში დასაქმება რთულია. არალეგალი იმიგრანტები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ დამსაქმებლებში, ვინაიდან მათ დაბალ ხელფასს უხდიან ან სახიფათო პირობებში ამუშავებენ. თუმცა ევროპის ქვეყნების საიმიგრაციო კანონმდებლობა გამკაცრდა და დიდი ჯარიმები დააწესა ასეთი დამსაქმებლებისათვის. შესაბამისად, სულ უფრო მეტი ერიდება რისკზე წასვლას და არალეგალი მიგრანტების დასაქმებას.

ხშირად არასწორად ფიქრობენ

ერთ-ერთი ფირმის საშუალებით სამუშაო ვიშოვე. გარკვეული საზღაურის ფასად საბუთებსაც მიგვარებენ

ჯერ სამუშაოს შოვნა და შემდეგ გამგზავრება სწორი გზაა. თუმცა გამგზავრებამდე მნიშვნელოვანია შუამავალი ფირმისა და დამსაქმებლის გადამოწმება. ხშირად ადამიანები სამუშაოს დაწყების იმედით ბრმად ენდობიან შუამავლებს, რომლებიც რიგ შემთხვევაში ბოროტად სარგებლობენ მათი ნდობით:

- ფულის გადახდისთანავე იკარგებიან
- დასაქმების მიზნით ყალბ დოკუმენტს ამზადებენ და სინამდვილეში არანაირ სამუშაოს არ შოულობენ კლიენტისთვის
- აგზავნიან გაუსაძლის პირობებში, შრომითი ხელშეკრულების გარეშე დაბალანაზღაურებად სამუშაოზე და იქ ჩასულ ადამიანს დანაპირებისგან სრულიად განსხვავებული რეალობა ხვდება.

გახსოვდეს, რომ
- ევროკავშირის ვიზა, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი საკონსულოდან გაიცემა ის, მხოლოდ 35 ევრო ღირს
- მოკლევადიანი სამგზავრო დაზღვევა არ აღემატება დღიურ 1 ლარს
- ვიზა გაიცემა 10 კალენდარულ დღეში

ხშირია შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს პირისთვის პასპორტის ჩამორთმევას სამსახურში აყვანის შემდეგ. ეს მონობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია !!!!

რა არის მონობა?

მონობა გულისხმობს ისეთ სიტუაციას, როდესაც მსხვერპლს წართმეული აქვს თავისუფლება, მაგალითად, გადაადგილების თავისუფლება, ვერ გამოთქვამს საკუთარ აზრს, ვერ იღებს გადაწყვეტილებებს საკუთარი თავის შესახებ. უწევს ძალადობის ატანა დამსაქმებლისგან, რომელიც მასზე სრულ კონტროლს ახორციელებს. რიგ შემთხვევაში ადამიანებს მოტყუებით აბამენ მონობაში - ქარხნებში მუშებად ანაზღაურების გარეშე ამუშავებენ. ასეთ შემთხვევაში ადამიანს მონობიდან თავის დასაღწევად დამატებითი ბარიერების გადალახვა უწევს, ვინაიდან არალეგალი იმიგრანტის სტატუსი მას დახმარების ან შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობას უზღუდავს.

რა არის ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)?

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა ან/და ადამიანის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაყვანა მუქარით, იძულებით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, შანტაჟით, მოტყუებით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით და კიდევ მრავალი სხვა ხერხით.

ტრეფიკინგი ხორციელდება მაშინაც, როდესაც პიროვნებას ჩამოართმევენ მის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს (მაგ. პასპორტს), შეუზღუდავენ თავისუფლად გადაადგილებას, არ აძლევენ საშუალებას დაუკავშირდეს ოჯახს ან ახლობლებს. ადამიანებს ამუშავებენ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან უხდიან არაადეკვატურ საზღაურს.

საზღვარგარეთ მყოფი ქართველების ნაამბობი

უკვე ხუთი წელია რაც ვმუშაობ თევზის ქარხანაში. ჩემი სამუშაო დილა ხუთ საათზე იწყება და ღამის ათ საათზე მთავრდება. საშინელი პირობებია, სულ წყალში მიწევს დგომა, ანაზღაურება კაპიკებია. მაგრამ რა ვქნა, ჩამოსასვლელად ფული ვისესხე, ადგილზე სხვა სიტუაცია დამხვდა და უნდა გავისტუმრო, ისე ვერ ვბრუნდები. ამ ყველაფერს ჯანმრთელობის პრობლემები დაემატა. რადგან არალეგალურად ვარ, ქარხნის ადმინისტრაცია უარს მეუბნება დახმარებაზე, მე კი ექიმთან მისვლის სახსრები არ გამაჩნია. ნეტავი რამდენ ხანს გავძლებ...

რამდენიმე თვეა ჩამოვედი. ახლობელმა სამსახური დამახვედრა. მართალია, არალეგალურად, მაგრამ მაინც ორ კაპიკს ვშოულობდი. ახლა კრიზისი დაიწყო. მშენებლობა დაიხურა. ახალ სამსახურს ვერ ვშოულობ. ყოველდღე მეშინია დაჭერის და დეპორტაციის!

ხშირად არასწორად ფიქრობენ

წავალ და იქ უკეთესად ვიქნები. რამენაირად მოვეწყობი და შემდეგ ოჯახსაც წავიყვან

განვითარებულ ქვეყანაში ნებისმიერ ფასად შესვლა არ გულისხმობს ავტომატურად უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობას. უცხო ქვეყანაში დაფუძნება არ არის მარტივი, განსაკუთრებით არალეგალური მიგრანტებისთვის, რომლებიც ქვეყანაში უკანონოდ ყოფნის გამო რთულად შოულობენ ანაზღაურებად სამუშაოს, საჭიროების შემთხვევაში ვერ იღებენ სათანადო სამედიცინო მომსახურებას, ცხოვრობენ ცუდ პირობებში და ხშირად იძულებული არიან უკანონო, კრიმინალურ საქმიანობაში ჩაერთონ ან დაბალანაზღაურებად "შავ" სამუშაოზე დათანხმდნენ. შესაბამისად, არალეგალურ იმიგრანტებს ძალიან რთული გზის გავლა უწევთ, რაც ხშირად სამშობლოში იძულებითი დაბრუნებით სრულდება.

სამუშაო უფლების ნებართვის გარეშე მუშაობის დაწყება სავიზო რეჟიმის დარღვევაა! ეს დეპორტაციის საფუძველს იძლევა

ხშირად არასწორად ფიქრობენ

ლეგალური სტატუსის მიღებაში შვილის მოქალაქეობა დაგვეხმარება. ბავშვს ევროპაში გავაჩენთ და დავრჩებით კიდეც

ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობა არ იცნობს არალეგალურად მყოფი მშობლების ბავშვისათვის “მიწის პრინციპის” (დაბადების ადგილის მიხედვით) შესაბამისად მოქალაქეობის მინიჭებას.

ევროპაში დაბადებული ბავშვი მხოლოდ დაბადების ადგილის შესაბამისად ვერ გახდება იმ ქვეყნის მოქალაქე!

როგორ უნდა მოიქცეს არალეგალური მიგრანტი, რომელმაც სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა?

დაბრუნების მსურველმა პირმა უნდა მიმართოს

- საქართველოს საელჩოს ან საკონსულო დაწესებულებას
- ადგილსამყოფელი ქვეყნის საიმიგრაციო სამსახურს

საკონსულო დეპარტამენტის ცხელი ხაზი: (995) 577 98 40 20
შეგიძლიათ დარეკოთ 24 საათის განმავლობაში ყოველ დღე

საქართველოში უკან დაბრუნებულ პირებს, ასევე აქვთ საშუალება უფასო იურიდიული დახმარება მიიღონ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტებისგან.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისები

თბილისის ოფისი
ჯ.კახიძის ქ. #15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ფაქსი: + (995 32) 2923211
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

ქუთაისის ფილიალი
მ.კოსტავას ქ. #11, 4600
ტელ: + (995 431) 241192
ფაქსი: + (995 431) 214585
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

აჭარის ფილიალი
ბათუმი, გორგასლის ქ. #89, 6000
ტელ: + (995 422) 276668,
ფაქსი: + (995 422) 222950
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

გორის ოფისი
სტალინის ქ. #19/1, 1400
ტელ: + (995 370) 272646
ფაქსი: + (995 370) 279842
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

რუსთავის ოფისი
კოსტავას 15 ა/5, 3700
ტელ: + (995 341) 255337
ფაქსი: + (995 341) 240566
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

თელავის ოფისი
ბარნოვის ქ. #10, 2200
ტელ: + (995 350) 230745;
+ (995350) 271371
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

ოზურგეთის ოფისი
გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. #25/10, 3500
ტელ/ფაქსი: + (995 496) 273138
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

დუშეთის ოფისი
რუსთაველის ქ. #29, 1810
ტელ: + (995 346) 221554
ფაქსი: + (995 346) 221553
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge

ბროშურა მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის/საია და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის/CIPDD ერთობლივი პროექტის საქართველოს და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია/საია
მისამართი: ჯ. კახიძის 15, თბილისი
www.gyla.ge

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი/CIPDD
მისამართი: წერეთლის გამზირი 72, თბილისი
www.cipdd.org